ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4475623

ნომერი: AR1660853

თარიღი : 15.02.2019

გაცემის თარიღი : 24.04.2019

გაცნობის თარიღი : 24.04.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა დ. უზნაძე , N 14;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გიორგი ჯოხაძე პ/ნ 18001022138
- ფანასკერტელ-ციციშვილის 6, ბ 195

ორგანიზაცია:
- შპს "ბეტა ჯგუფი" კოდი: 405171996

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- IV კლასი
- ახალი მშენებლობა
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: № 4143772
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 31.08.2018

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალფუნქციური კომპლექსი (სასტუმრო, სასტუმროს ტიპის აპარტამენტები, კომერციული)
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ლევან სიამაშვილი
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: tria group
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404957098

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს ბეტა ჯგუფი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 405171996
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: გიორგი ჯოხაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 18001022138

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 2800.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 2211.78
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 11607.3
- .კომერციული ფართობი (კვ.მ).: 1211.5
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 946.1
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 1024.1
- .სასაწყობე ფართობი (კვ.მ).: 150.68
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 656.51
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 1188.7
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 350525.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 341900.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 8625.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 30.2
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 26.3
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 3.9
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 1979.32/2800=0.7
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 13017.26/2800=4.6
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 468.98/2800=0.2
- .სასტუმროს ნომრების ფართობი (კვ.მ): 2777.11
- .საცხოვრებელი ტიპის სასტუმროს აპარტამენტის ფართობი: 3652.6

- .ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო გეგმა (რეგისტრაციის N 882019072156 , 04.02.2019, საკადასტრო კოდი N 01.16.05.001.023)

- .2017 წლის 07 დეკემბრის ნასყიდობის ხელშეკრულება
- .სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 23 იანვრის N4/3900 წერილი
- .საქართველოს ბანკის კორპორატიული საბანკო მომსახურების დეპარტამენტის სექტორის უფროსის გ. გოცაძის 2019 წლის 26 თებერვლის N16/1777 თანხმობა და რწმუნებულება (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის N170958876, 22.08.2017 წ.)
- .საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2019 წლის 02 თებერვლის # MIA 2 19 00434754 წერილი
- .ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 13 მარტის N18-01190724196 წერილი
- .ქ. თბილისის უნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს სხდომის ოქმი N14, 11.04.2019 წ.
- .ი/მ „აკადემიკოსი-მალხაზ ბედიაშვილი “-ს 2019 წლის 22 აპრილის საექსპერტო დასკვნა
- .შ.პ.ს. „ბაზიზი XXI“-ს 2019 წლის 23 აპრილის N74-3/19 კონსტრუქციული დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის,"კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად.

ვბრძანებ

1. შეთანხმდეს: ქ. თბილისში (სექტორი - ჩუღურეთი),უზნაძის ქ. N14-ში, შ.ჰ.ს. „ბეტა ჯგუფი“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.16.05.001.023), მრავალფუნქციური შენობის არქიტექტურული პროექტი.
2. გაიცეს მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალოს მშენებლობის სანებართვო მოწმობა.
3. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2019 წლის 25 აპრილიდან 2021 წლის 25 იანვრის ჩათვლით.
4. განემარტოს დამკვეთს, რომ ვალდებულია სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე სამშენებლო მოედანზე იქონიოს პასუხისმგებელი პირის მიერ ხელმოწერილი სამშენებლო დოკუმენტი კანონით გათვალისწინებული სრული შემადგენლობით, მათ შორის:
4.1. სამშენებლო მიწის ნაკვეთის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა;
4.2. საჭიროების შემთხვევაში შენობა-ნაგებობებისა და მიწის ნაკვეთ(ებ)ის კვლევა „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 24.03.2009 წლის №57 დადგენილების 35-ე მუხლის შესაბამისად;
4.3. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი საქართველოს მთავრობის 24.03.2009 წლის №57 დადგენილების 61-ე მუხლის და „მშენებლობის უსაფრთხოების წესების“ (დამტკიცებული საქართველოს მთავრობის 28.03.2007 წლის №62 დადგენილებით) მოთხოვნათა შესაბამისად;
4.4. კონსტრუქციული პროექტი, რომელიც შედგება შენობა-ნაგებობის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის დეტალური პროექტისაგან, მათ შორის, ფუძესაძირკვლისაგან.
4.5. სავალდებულო საექსპერტო შეფასებ(ა)ები საქართველოს მთავრობის 24.03.2009 წლის №57 დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად.
4.6. მწვანე ნარგავების (გარდა ხილ-კენკროვანი მცენარეებისა) ჭრის/გადარგვის აუცილებლობის შემთხვევაში ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურიდან მიღებული შესაბამისი ნებართვა. 4.7. მიწისზედა/მიწისქვეშა ხაზობრივი ნაგებობების არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი მესაკუთრის თანხმობა/ნებართვა.
5. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2019 წლის 19 თებერვლის # MIA 2 19 00434754 წერილის შესაბამისად, დამკვეთის მიერ უზრუნველყოფილ იქნას ხანძარსაწინააღმდეგო სისტემების მოწყობა და მათი დაპროექტების დოკუმენტაციის სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში, ამავე სამსახურში წარდგენა, მათ შორის:
ა) შენობის გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების მოწყობის პროექტი;
ბ) შენობის შიდა ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების მოწყობის პროექტი;
გ) შენობის ავტომატური სახანძრო სიგნალიზაციის მოწყობის პროექტი;
დ) შენობის კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის სისტემის მოწყობის პროექტი;
ე) შენობის ხანძრის ჩაქრობის ავტომატური სისტემის მოწყობის პროექტი;
ვ) შენობის ხანძრის შესახებ შეტყობინებისა და ადამიანთა ევაკუაციის მართვის სისტემების მოწყობის პროექტი;
ზ) შენობის გათბობა-ვენტილაციის სისტემების მოწყობის პროექტი;
თ) შენობის ელექტროდანადგარების და მეხდაცვის მოწყობის პროექტი.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.